ანგარიში
საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნინო იობაშვილის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ეგიდით გამართულ კონფერენციაზე დასწრების შესახებ (27-28 მაისი, ნიქოზია, კვიპროსის რესპუბლიკა)

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრმა, **ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის** თავმჯდომარის მოადგილემ, **ნინო იობაშვილმა** ნიქოზიაში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ეგიდით გამართულ საერთაშორისო კონფერენციის - **„კორუფციასთან ბრძოლა, დემოკრატიის დაცვა: ქვეყნის პარლამენტის როლი“** მუშაობაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც კვიპროსის დედაქალაქში, 27-28 მაისს გაიმართა.

კონფერენციის ძირითად თემებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კორუფციასთან ბრძოლის საკითხები და აღნიშნულ პროცესებში დემოკრატიული ინსტიტუციების ჩართულობა წარმოადგენდა. ანტიკორუფციულ საკითხებზე მიძღვნილ საერთაშორისო ღონისძიებას ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის და კვიპროსის რესპუბლიკის ხელისუფლების, ასევე თემატიკაზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

პარლამენტარებს სიტვით მიმართეს კვიპროსის პარალამენტის თავმჯდომარემ ანიტა დემეტრიუმ, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა მარგარეტა სედერფელტმა, კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოანის კასულიდესმა, ეუთოს საპრალამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა, სპეციალურმა წარმომადგენელმა კორუფციის ბრძოლის საკითხებზე ირენი კარალამბიდესმა; აგრეთვე ეუთოსა და „გრეკო“-ს წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩართული არიან ამ სფეროში. შედგა დებატები განსახილველ საკითხებზე. ყველა მონაწილემ ხაზგასმით აღნიშნა პარლამენტის როლი კორუფციის პრევენციისა და ამ საკითხებთან ბრძოლის საქმეში.

ანგარიში მოამზადა დელეგაციის მდივანმა
მ. გოგოლაძემ
31 მაისი, 2022 წ.